23 მაისი 2019 წელი ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 3

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები:

1.მურაზი აბრამიშვილი

2. მზია ნინიაშვილი

3. თორნიკე ნინიაშვილი

4. რამიზ რამაზანოვი

5. ვალერი სამადაშვილი

6. დავით დაუთაშვილი

7. გუმბათ იუსუბოვი

კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: **მურაზი აბრამიშვილი**

სხდომის დღის წესრიგი :

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N53 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N53 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შევიდეს აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილება და კერძოდ, დანართ N 3-ში ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის“ მე-4 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. პროგრამით მოსარგებლეთათვის გამოიყენება შემდეგი სოციალური კრიტერიუმები.“

,,2. დაფინანსება:

ბენეფიციარების დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

გაუქმდეს დანართი N7 ,,მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა“.

,,მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა“ ითვალისწინებდა ერთ ბენეფიციარზე 150 ლარის ფარგლებში (მედიკამენტებით) დახმარებას და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად თანხის ჩარიცხვა მოხდებოდა მომწოდებელ აფთიაქზე. კონსოლიდირებულ ტენდერში გამოვლენილ სააფთიაქო ქსელებიდან (კონსოლიდირებული ტენდერი დღემდე არ დასრულებულა ზოგიერთი დასახელების მედიკამენტზე) დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს აფთიაქი ,,ავერსი“ და ,,36/6“, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ბენეფიციართა მხრიდან მოთხოვნილი მედიკამენტების შემოტანას თავიანთ ქსელებში, რამაც შესაბამისად გამოიწვია ბენეფიციართა უკმაყოფილება აღნიშნული პროგრამის მიმართ.

აზრი გამოთქვეს: რამიზ რამაზანოვმა, ვალერი სამადაშვილმა

კომისიის წევრებმა, მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტის ცვლილებას.

დაადგინეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოადგინოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: **მ. აბრამიშვილი**